ახალგაზრდული ორგანიზაცია ‘‘Art Way’’
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

# მონოპიესები

2014-2015
(კრებული)

გამომცემლობა ,,კენტავრი‘‘
თბილისი
2015

## დამწყვდეულები

დრამატურგი - **მათე მაყაშვილი**
რეჟისორი - **თეონა მესტუმრე**
მსახიობი - **გიორგი ყორღანაშვილი**

ამ კედლებში ერთი ადამიანის შენახვა-პატრონობა დღეში სულ მცირე 30 ლარი ჯდება, თვეში 900, წელიწადში 10800 და სიცოცხილის ბოლომდე დაახლოებით ნახევარი მილიონი. დამსვით ამ დედამოტყნულ ელექტრო სკამზე და თქვენ დაზოგავთ ნახევარ მილიონს! პლიუს ბონუსად მიიღებთ ცარიელ საკანს ვინმე ნაკლებად დამნაშავისთვის და 4 ბედნიერ ღიმილს ჩემს მიერ მოკლული ადამიანების მშობლებისაგან. მოვითხოვ დაუშვათ გამონაკლისი და კარგი ყოფაქცევისთვის მომისაჯოთ სიკვდილი!

პეტერე... პეტერე... სად ხარ შე ჩემა?! მოდი აქ! ნახე რას გავს აქაურობა?! ახლა წამოწიე ტრაკი და ყველაფერი მიალაგე! შენი ნერვები ისედაც არ მაქვს. დღეს ლუსის ვეჩხუბე! რა? არა, არა მთვრალი არ ვყოფილვარ... ხომ იცი რა ტიპია? მაღაზიაში გავედი დიეტური პური არ იყო და თურმე ზედმეტად კალორიული წამომიღია. რა გაცინებს? მაგრა გაუტყდა იტირა კიდეს, ამ ბოლო დროს თავს საერთოდ ვეღარ აკონტროლებს... მეცოდება, მაგრამ მას გონია რომ არ მეცოდება. ვიცი, ვიცი რომ შევრიგდებით. მაშინაც ასე არ იყო ქორწილის წინა დღეს მე და შენ რომ ვაწყნარებდით, რა არ გახსოვს? თეთრი ლიმუზინი რომ არ იყო და შავი მოვუყვანეთ... აუ რა ისტერიკა ატეხა: ეს კატაფალკა რათ მინდაო, თეთრი ლიმუზინი მინდოდა თეთრი რაშის ამბავშიო, კაბა თეთრი მაცვიაო, საერთოდ ყველაფერი თეთრიაო, შავი უბედურებააო... მე რა ვიცოდი მართლა უბედურებას თუ მოიტანდა...

ხო კაი, კაი, აღარ ვბაზრობ... ხო მახსოვს პირობა. „აღარ ვილაპარაკოთ ამ თემაზე“. ისე სულ პირობებს რატომ მართმევ? რაღაცნაირი ტიპი ხარ, ხან მენიზლავები, მეკამათები, მეჯიბრები, ხო, ყოველთვის ასეთი იყავი, პეტრე კი არა ტოტალიზატორი ხარ. აუ ფეხბურთი!! უკვე მეოთხე მსოფლიო ჩემპიონატი გამოვტოვე, ნეტა ჩვენი ესპანელი ბიჭები რას შვებიან? ისევ ჯგუფში ჩარჩნენ? გახსოვს 98ში, მაშინ პარაგვაი და ნიგერია გავიდა. არადა ნიგერიასთან 2:1-ს იგებდნენ. იერომ და რაულმა გაიტანეს, ალბათ რაული დაბერდებოდა,

ნეტა დაანება თავი თუ თამაშობს ისევ? აუ ახლა ნუ დამიწყებ უაზრო კამათს! ფეხბურთის აზრზეც არ ხარ. არაა? ხოოო შენ მაგარი გულშემატკივარი ხარ. ის გახსოვს ჩემთან ესპანეთის თამაშზე რომ ჩაგეძინა? არა არ იყავი ისეთი მთვრალი. ლუსის შეეცოდე თორემ წყლის გადასხმას ვაპირებდი. რა ჩემი ბრალი იყო შეჩემა?! მე რა ვიცოდი მეორე დღეს წასასვლელი თუ იყავი. აუ მაგარი უმადური ხარ. ლუსის ომლეტი გავაკეთებინე, მაგარი ყავა გავამზადებინე, შენ კიდე გაიღვიძე თუ არა წამოვარი და გავარდი... ხო, ხო, ვიცი მაგ დღეს დაკარგე სამსახური... აუ მაგარი დრო იყო, ის ტახტი მენატრება, ტელევიზორთან, პულტით ხელში, გვერდით ლუსი თავისი ჟურნალებით.

ეჰ პეტრე კიდევ რამდენი წელი, ვიცოდე მაინც ხანდახან ფილოსოფიური აზრები მჭყლიტავს აი მაგალითად:

თანამედროვე კაცობრიობა ძალიან ყალბია! ყარს! ყალბ, იაფფასიან და ვითომ ჰუმანურ პრინციპებს ემყარება! რატომ გააუქმეს სიკვდილით დასჯა? არადამიანურია, სხვისი გაჩენილი ადამიანის მკვლელობის უფლება როგორ მივცეთ თავს? მე თუ მივეცი?! მხოლოდ ღმერთს აქვს უფლება თავისი გაჩენილი შვილი წაიყვანოს! აა ადამიანის სიცოცხლე ხელშეუხებელია, ის გაჩნდა და უნდა იცხოვროს. ყალბები ხართ! პოპულისტი მორალისტები ხართ, ვინც ადამიანების გრძნობებით თამაშობთ! სინამდვილეში კი, მხოლოდ სიცოცხლის უფლებას აღიარებთ ადამიანში და ისიც სანახევარად, სხვების დასანახად, იმიტომ რომ ჰალსტუხი გიკეთია და თავი დემოკრატიული სახელმწიფოს მმართველი გგონია! მჯერა რომ ერთ დღესაც თქვენი სიყალბე მოკვდება, როდესაც

კაცობრიობა გაანალიზებს, რომ ადამიანის სიკვდილი ჩვეულებრივი ბიოლოგიური პროცესია, და არა ტრაგედია. და სიკვდილით დასჯა ისევ აღსდგება! თქვენ მხოლოდ მკვდრები გეცოდებათ, ცოცხლებს კი არაფრად აგდებთ. მკვდრებს არაფერი სჭირთ თქვენი შესაცოდი, იმიტომ რომ უკვე მკვდრები არიან!

გააუქმეთ სიკვდილით დასჯა, იმიტომ რომ თქვენ ჰუმანურ ბუნებას სხვანაირად არ შეუძლია, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თქვენ ჰუმანურ ბუნებას ადამიანის წამებით სიკვდილი შეუძლია, რომელსაც სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეთ!

პარადოქსია, ჩემი სიკვდილით დასჯა არ გინდათ, არადა ერთი სული გაქვთ როდის ჩავძაღლდები! სინამდვილეში ტრაკი არ გყოფნით

თქვენი სურვილების ასასრულებლად, თქვენი დემოკრატიული ხელი არ გაისვარეთ და ცდილობთ ბუნებას შეაწმინდოთ თქვენი სისხლიანი ხელები. დრო მომიქსიეთ! დრო აქციეთ ციხის ჯალათად, რომელიც წამებით მკლავს, წამებით, წუთებით, საათებით, დღეებით თქვენ მე გამწირეთ, სიკვდილზე უფრო დიდი სასჯელი მომისაჯეთ და ყველა დროის ყველაზე ძლიერ და დაუმარცხებელ მეტოქესთან მიმაგდეთ, უსუსური და უმწეო. თქვენ მე დროს დამაპირისპირეთ! მაგრამ არაუშავს, ორი კაცი მოვკალი მარტომ, როგორმე დროსაც მოვკლავ, სიკვდილამდე!

რას დამცინი შეჩემა? შენ საერთოდ არაფერი გაინტერესებს, მეც მაგარი დებილი ვარ რომ გაგიმხილე რასაც ვფიქრობ. კაი ახლა ნუ დამიწყებ მობოდიშებებს! სულ ასე იცი ჯერ ჩაისვრი და მერე ბოდიშებს მიხდი ძუნკალი ძაღლივით! საერთოდ არავის გესმით ჩემი. დღეს მაგარი ბანძი დღე მაქვს, ჯერ ლუსის ვეჩხუბე, აუ ახლა მაგას რა შეირიგებს, დაიწყებს ისტერიკას, როცა გაბრაზებულია საერთოდ იცვლება, ხო ფიზიკურადაც იცვლება, მონსტრს გავს!! რა თვალს მიკრავ? რა? რას მეჭყანები?? (უკან მოიხედავს) ლუსი... გაიგონე ახლა რაც ვთქვი? მონსტრი ისე ვახსენე... არა მართლა არ ვფიქრობ ასე, არ გადარებ... მე მხოლოდ სიმშვიდე მინდა, მეტი არაფერი. მინდა ერთმანეთის გვესმოდეს... ნუ მიყვირი... ნუ მიყვირი–მეთქი!! მე? მე ვაფუჭებ ყველაფერს? რა გინდა ვერ გავიგე? რატომ იწყებ სულ თავიდან აღარ დაიღალე? ისევ გინდა მე მოგიხადო ბოდიში არა?? იმის გამო, რომ შუაღამით გარეთ მაღაზიაში გაგეგზავნე დიეტურ პურზე, ერთადერთი სადღეღამისო მარაზია შემხვდა და მხოლოდ თეტრი პური ქონდათ.... ხო პური არაფერ შუაშია... რაო? მე ვარ უყურადღებო? შენ კი უმადური ხარ! გესმის უმადური! რა გატირებს? რა შუაშია ტირილი? ვიცი მეც არ მყოფნის ნერვები... მაპატიე კარგი... მოდი შევრიგდეთ... კარგი დაწყნარდი.... დაწყნარდი.... (უყვირის) დაწყნარდიიი!! დაწყნარდიიი!!! (უკან მოიხედავს) პეტრე შენ ნუ ერევი!

(ისევ ლუსის) მომისმინე ახლა ცოტა ხნით გავჩუმდეთ, ჩოტა დავმშვიდდეთ. საერთოდ ამ ბოლო დროს ძალიან გართულდა ყველაფერი, ამ ჩაკეტილ სივრცეში მშიერ ვირთხებს ვგავართ, ერთმანეთში მხოლოდ ცუდს ვეძებთ. მოდი თავიდან დავიწყოთ ყველაფერი... კი კი შევძლებთ. მე ხომ შევძელი? მე ხომ დავივიწყე ის უბედურება... ვიცი. არ ვაპირებ ამის გახსენებას! არა ისე ვახსენე მაგალითისთვის. (პეტრეს) დაწყნარდი

არ ვაპირებ ამ თემაზე ლაპარაკს! (ლუსის) გახსოვს რა კარგად იყო ყველაფერი, როგორ ვუვლიდით ერთმანეთს, მე შენ მჭირდები, მინდა დამეხმარო. გთხოვ მაპატიე ყველაფერი. რატომ მიდიხარ? დარჩი. ჩემი ნახვა აღარ გინდა? არ წახვიდე გთხოვ!! არა მაინც ვერ წახვალ, რადგან (თავზე მიიტანს თითს) აქ ხარ დამწყვდეული. როცა მე მოვისურვებ მაშინ გაგანთავისუფლებ. ერთადერთი რაც მაძლებინებს ეს შენ და პეტრე ხართ, უთქვენოდ გავგიჟდებოდი. გუშინ რაღაც ფურცლებს წავაწყდი სადაც ეწერა ,,სიმძიმის ძალას შეუძლია დროზე მოახდინოს გავლენაო" საერთოდ მსგავსი სისულელეები არ მაინტერესებ, მაგრამ ამან დამაფიქრა." თურმე თუ ერთ ატომურ საათს დავამაგრებთ ემპაიერ სტეიტ ბილდინგის სახურავზე, ხოლო მეორეს დაბლა, ვნახავთ რომ სახურავზე მყოფი საათის წამის ისრები უფრო სწრაფად მიდის"

პიტერ, გესმის ეს რას ნიშნავს პიტერ? ე.ი. რაც უფრო მაღლა ხარ, უფრო სწრაფად გადის დრო, დროსთან ბრძოლაში კიდევ ერთი იარაღი აღმოვაჩინეთ. ახლა უკვე ორი ძირითადი იარაღი გვაქვს, ხო გახსოვს, მაშინდელი აღმოჩენა კვანტური მექანიკის მიხედვით, დრო დამოკიდებულია სხეულის სიჩქარეზე ათვლის სისტემის მიმართ, ანუ თუ ნელა ვიმოქმედებთ დრო უფრო მალე გავა და მეტ დროს მოვკლავთ.

მთავარია ახლა როგორმე მოვახერხოთ და ციხის უფროსი დავარწმუნოთ იმაში, რომ ზედა სართულებზე გადაგვიყვანონ. ეგ როგორ უნდა მოვახერხოთ? თქვენ რამე იდეები გაქვთ? არაუშავს არც მე მაქვს, მაგრამ აუცილებლად მოვიფიქრებთ რამეს, ყველაფერი გამოვა, თუ გეგმის მიხედვით ვიმოქმედებთ.

ა) ზედა სართულებზე შედარებით მსუბუქი დანაშაულებისთვის ზიან.

ბ) ზედა სართულზე არ არის ერთკაციანი კამერები.

რა უნდა გავაკეთო იმისათვის რომ ზევით გადამიყვანონ?

მაგრამ რა უნდა გავაკეთო ზევით? იქ ვიღაც სირებთან მომიწევს ყოფნა. ვერაფერზე ვერ დაელაპარაკები.

თქვენს გარეშე როგორ გავძლო? (გვერდზე მოიხედავს) პეტრე რატომ ზიხარ ასე ახლოს ლუსისთან? რას ნიშნავს ამშვიდებ? მერე სავალდებულოა ასე ახლოს მიუჯდე? ხელი ჩამოიღე! არა არეფერი არ მეჩვენება. ლუსი შენ რას გატრუნულხარ? რა, გსიამოვნებს პეტრეს ნუგეში? ენა გააჩერე შე ბოზო! (პეტრეს) პეტრე შენ საერთოდ

დაახვიე აქედან! არა მოიცა ჯერ დარჩი. რაო? ნუღარ მიხსენებ მაგ პირობას! მკიდია პირობა! ყოველ დღე სიამოვნებით ვიღვიძებ სწორედ მაგ პირობის დასარღვევად... ვგიჟდები როდესაც მემუდარებით ,,პირობა არ დავარღვიო", მაგრამ მე გამარჯვებული ვარ. აქ წესებს მე ვადგენ როგორ მაშინ, როდესაც ჩემი სახლის კარი გავაღე და საკუთარ დივანზე, საკუთარ ხალათში გამოწყობილი, ჩემი ლუდით ხელში გნახე პეტრე, ესეც არ იკმარე და ლუსი მოიჯინე გვერდით ისიც ფეხბურთს უყურებდა...პარაგვაი საფრანგეთი ხომ ასე იყო ლუსი?? ა? მიპასუხე ლუსი რამდენჯერ გიხმარა მანამდე? პეტრე მე რო არ მოვსულიყავი, შესვენებაზე კიდევ ერთხელ იხმარდი? არ დაგაცადეთ არა??. იცი პეტრე, თავიდან საერთოდ არ გიპირებდი მოკვლას, ძნელია საუკეთესო მეგობარი სასიკვდილოდ გაიმეტო? ხო, მაგრამ ადამიანი რომელიც ცოლს გიჟიმავს და შენ ლუდს ჩუმად სვამს, არ შეიძლება იყოს საუკეთესო მეგობარი. ნეტავ გენახათ რა ბედნიერად იყავით მიხუტებულები, თავიდან გამიტყდა კიდეც თქვენი იდილია დამერღვია, მარა რაღაც თავმოყვარეობამ შემაწუხა. მეც სახლში ვბრუნდებოდი, ლუდით ხელში, ფეხბურთის საყურებლად ვემზადებოდი, ლუსი გახსოვს გითხარი, ბიჭები ერთად ვაპირებთ ყურებას და გვიან მოვალ-მეთქი, შენ კიდევ გამიბრაზდი, რაც ჩემპიონატი დაიწყო საერთოდ აღარ მეკარებიო, ფეხბურთში გამცვალეო, მაგრამ კაი ჯანდაბას წადიო, თურმე ვინ იცის როგორ გიხაროდა ჩემი წასვლა. მე მაინც გულდაწყვეტილი ვიყავი, გზაში გადავიფიქრე. უკან მოვტრიალდი, ვიფიქრე ლუსისთან დავრჩები, ჯანდაბას ფეხბურთი-მეთქი. ჯობდა არ მოვტრიალებულიყავი. მერე ვნახე ეგ საშინელება და ლორან ბლანის გოლი, ვერ გეტყვი რომელი უფრო მეწყინა. ადგილზე გავშეშდი, თან საფრანგეთს გულშემატკივრობდი და გოლზე წამოხტი, ლუსის ჩაეხუტე, ლუსი შენც გაგიხარდა, ისე არ მეგონა თუ ფეხბურთს უყურებდი. მერე ორივემ ერთად გადმომხედეთ და შენ ლუსი გაყინული სახით ის მითხრა, რისი გაგონებაც ყველაზე მეტად არ მინდოდა, რა? არ გახსოვს რა მითხარი?? რა მითხრა და ყველაფერს აგიხსნი, ეს ის არ არის რასაც შენ ფიქრობო! როდესაც შენი საყვარელი ქალი მაგას გეუბნება, ე.ი. ყველაფერი ისეა, როგორც შენ ფიქრობ. ვინ იცის, იქნებ მომესმინა კიდეც, იქვე ძირს დაგდებული ნახმარი პრეზერვატივი რომ არ დამენახა. მაინც მოვახერხე და თავი ხელში ავიყვანე, გვერდით ჩამოგიჯექით, ლუდი გავხსენი და ფეხბურთის ყურება დავიწყე...

პეტრე შენ ისე ისტერიულად იცვამდი ტანსაცმელს რომ კინაღამ

სიცილი ამივარდა.მერე გარეთ გავარდი თავქუდმოგლეჯილი და როგორც ყოველთვის კარი ღია დატოვე. დავრჩით მე და შენ ლუსი. არ ვიცოდი რა მექნა, ან რა მეთქვა... შენი ალეწილი სახე კარგად მახსოვს. მერე სამზარეულოში გახვედი, კარადასთან იდექი და ტიროდი. მე მოგიაახლოვდი ზურგზე მოგეხვიე. გახსოვ რა მითხარი? არა? შენ წამით გეგონა რომ გაპატიე. სამად სამი ძლიერი დარტყმა აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ იატაკზე უსულოდ დავარდნილიყავი. ვხედავდი შენს დახეთქილ სისხლიან სახეს, მერე ხელებიდან სისხლი იქვე ცამოვიბანე.  არ ვიცი რა მჭირდა, სიძულვილი და შურისძიება მმართავდა, ისევე როგორც მთელ სამყაროს. სახლიდან გავედი,  პეტრე შენი სახლისკენ მივდიოდი, რატომ არ ვიცი, ალბათ ინსტიქტურად... კარი შენმა  ფეხმძიმე ცოლმა გამიღო, თან თბილად გამიღო კარი, მითხრა პეტრე შინ არ არის, ფეხბურთის საყურებლად წავიდაო. გამიმასპინძლდა, მაცივრიდან შენი ლუდი გამოიღო. სარაფანი ეცვა, იცი მას  ლიფი არ ეკეთა. ბევრი აღარ მილაპარაკია, შენი ლუდი ერთ მოსმით ჩავცალე და შური სრულად ვიძიე, შენდა საქებრად უნდა ითქვას, რომ მედგარი წინააღმდეგობა გამიწია, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა შურისძიებით სავსე მამაკაცის წინაშე. ისე შენი ცოლი სახლში საცვლებს არ იცვამდა? არც ტრუსი ეცვა. მალე შენც მოხვედი, სპეციალურად დაგელოდე, მინდოდა  ჩემსავით ყველაფერი საკუთარი თვალით გენახა. ჯერ კუთხეში მიგდებულ ატირებულ ცოლს გადახედე, მერე ჩემკენ გამოემართე გინებით, დანა უკვე ხელში მეჭირა. ბევრი ფიქრის გარეშე დაგახვედრე, მალე პოლიციაც მოვიდა, შენ ცოლს ბოდიში მოვუხადე, შენ კი უკვე გვამს თვალებში ჩაგხედე და მორჩილად დაველოდე ხელბორკილების დადებას. იმ მომენტში გავიმარჯვე, შენს სიკვდილზე წამით არ დამწყვეტია გული, ერთადერთი რასაც დღემდე ძალიან ვნანობ, არის ის რომ მუცელი მოეშალა. თუმცა ვინ იცის, იქნებ ისიც შენნაირი ნაბოზარი იზრდებოდა? შენი მოკვლით ვიცით რომ კაცობრიობას კარგი საქმე გავუკეთე, აი მუცელის მოშლით კი არ ვიცი.

სულ ერთი და იგივე... პირველ დღეებში მიჭირდა, ვერ ვიძინებდი. ყოველ ღამე ერთსა და იგივე კოშმარს ვხედავდი, მაკითხავდით და წისხლში მოთხვრილები მეხვეოდით, თითქოს არაფრი მომხდარა, ერთად ფეღბურთს ვუყურებდით, ლუდს ვსვამდით. თქვენი სისხლით მოთხვრილი ხელებით, ციფსებს ვჭამდი, გემოსაც ვგრძნობდი... ისტერიულად მეღვიძებოდა, მეორე ღამით კი იგივე სიზმარი და ასე გრძელდებოდა

მანამ სანამ ჩემი შიზმრებიდან აქ რეალობაში არ გადმოგიყვანეთ. რაო პეტრე? არ მოგწონს აქ ყოფნა? შენ ლუსი? იქ გირჩევნიათ ზეცაში? არ გაგიშვებთ? მერე მე არ რა ვაკეთო? მე ხომ უთქვენოდ არ შემიძლია... (თავზე მიიდებს თითს) აი აქ მყავხართ დამწვდეული ორივე, ვერსად გამექცევით!

(მივა საწოლთან, ჩაწვება, საბანს გადაიფარებს. პაუზა. მოულოდნელად წამოხტენა, თითქოს ახლა გაიღვიძა)

პეტერე... პეტერე... სად ხარ შე ჩემა?! მოდი აქ! ნახე რას გავს აქაურობა?! ახლა წამოწიე ტრაკი და ყველაფერი მიალაგე!

დასასრული